30 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურია
ყველანი არჩევნებზე!

ხაშურის მოამბე

№33(314) 25 ოქტომბერი, ორშაბათი, 2021 წელი

ხაშურის N1 საჯარო სკოლა - მსოფლიო განათლების კვირეულის - 2021 წლის მსოფლიოს 100 წარმატებული სკოლის ჩამონათვალშია

ხაშურის პირველმა საჯარო სკოლამ კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა. ის მსოფლიო განათლების კვირეულის 100 წარმატებულ მონაწილე მომხსენებელ სკოლას შორის მოხვდა. მოხსენება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას ეხებოდა. მათ მსოფლიოს წარუდგინეს სკოლის მიღწევები ინოვაციების, ინკლუზიის, ტექნოლოგიებისა თუ გარემოს დაცვითი საკითხების მიმართულებით. ღონისძიება, კოვიდ ვითარებიდან გამომდინარე, ონლაინ

რეჟიმში წარიმართა. კვირეულის ფარგლებში, პირველმა საჯარო სკოლამ გამოცდილება გაუზიარა ღონისძიების მონაწილეებს და რეგისტრირებულ სტუმრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის მასწავლებლებს და განათლების საკითხებით დაინტერესებულ ყველა მონაწილეს. ხაშურის 1 საჯარო სკოლის პანელური სესია გაიმართა 7 ოქტომბერს, საქართველოს დროით საღამოს 8 საათზე,

იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირებს მონაწილეობა მიეღოთ ღონისძიებაში და გაეცნოთ მსოფლიოში განათლების მიმართულებით მიმდინარე მოვლენები და სიახლეები, მიეღოთ T4 განათლების მსოფლიო კვირეულის მონაწილეობის სერტიფიკატები და მხარი დაეჭირათ ხაშურის პირველი საჯარო სკოლისათვის, მხარდამჭერები უნდა დარეგისტრირებულიყვნენ ღონისძიებაზე.

WEW-World Education Week-მსოფლიო საგანმანათლებლო კვირეულში

სკოლამ მონაწილეობის და მასპინძლობის სერტიფიკატიც მიიღო, რაც მნიშვნელოვანი სამახსოვრო ხაშურის პირველი საჯარო სკოლისთვის.

პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი: - თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ეს წარმატება ძალიან სასიხარულოა ჩვენთვის და ჩვენი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, რომ მსოფლიოს 100 საუკეთესო სკოლის პრაქტიკასთან ერთად, ხაშურის პირველი საჯარო სკოლის პრაქტიკა გახდა საინტერესო განათლების მსოფლიო კვირეულის ხელმძღვანელებისა და ჟიურისათვის, რომელიც მონაწილე სკოლებს შეარჩევდა, და ამავე დროს, იყო ძალიან საპასუხისმგებლოც. ჩვენი სკოლის მოხსენება შეეხებოდა დემოკრატიული კულტურების კომპეტენციების განვითარებას სკოლაში, მასწავლებლების მიერ სკოლაში განხორციელებულ პროექტებს სკოლისა და კლასის დონეზე, შეეხებოდა მოხსენება „ითვინინგის“ ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს. სკოლისათვის განკუთვნილი ერთი საათის განმავლობაში სამი მომხსენებელი გამოვედით. შეხვედრა მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რა დროსაც საკმაოდ ბევრი ადამიანი ესწრებოდა მოხსენებას. ჩვენ „ლაივ ივენთს“ დაახლოებით 6500 - მდე დაინტერესებული პირი ადევნებდა თვალს. მათ მოიწონეს პირველი საჯარო სკოლის მოხსენება და ის გვერდი, სადაც განთავსდა ინფორმაცია სკოლის შესახებ. ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი წარმატებაა რეგიონის სკოლისათვის მსოფლიო საგანმანათლებლო კვირეულში მონაწილეობა. იმის გათვალისწინებითაც, რომ სკოლა მიმდინარე წლიდან არის ევროპის საბჭოს დემოკრატიული სკოლების საერთაშორისო ქსელის წევრი საქართველოს შვიდ საჯარო სკოლასთან ერთად.

ვცდილობთ, რომ ეს ღირებულებები და დამოკიდებულებები იყოს მაღალ დონეზე ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში გარანტირებული და უზრუნველყოფილი ყოველდღიური საქმიანობით, რომელსაც ეწევიან ჩვენი მასწავლებლები.

„ხაშურის მოამბე“, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ულოცავს სკოლის პედკოლექტივს და მოსწავლეებს ამ უდიდეს აღიარებას და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში კიდევ მრავალ წარმატებას ერთად ვიზეიმებთ.

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათში, ახალი საჯარო სკოლა შენდება

სოფელში სკოლის შენობა წლების განმავლობაში ავარიული იყო, ამიტომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ჩართულობით, ახალი შენობის მშენებლობა გადაწყდა, რისთვისაც 2 მილიონზე მეტი ლარი გამოიყო.

ქინძათის საჯარო სკოლაში ამ ეტაპისთვის 100– მდე მოსწავლე სწავლობს

და 22 მასწავლებელია დასაქმებული. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი შენობა კი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.

ქინძათის სკოლის მშენებლობის სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან ზვიად ქურდაძესთან ერთად გაეცნო. მათი განმარტებით, ამ ეტაპზე ხორციელდება სკოლის საძირკველის მოწყობა, ჯამში–6 250 კვადრატულ მეტრზე, პროექტის ფარგლებში, აშენდება თანამედროვე ტიპის შენობა და მოეწყობა სკოლის გარე პერიმეტრი.

მშენებლობა 2022 წელს დასრულდება.

- კოვიდ - 19 -

დავით ჩიქოვანი: გვაქვს მნიშვნელოვანი სიახლე - იწყება ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელშიც ჩართულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი და გუბერნია

ჩვენი გაზეთი მკითხველს სისტემატურად აცნობს იმ ეპიდსიტუაციის შესახებ ინფორმაციას, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტშია. ბოლო დროს,მედიცინის წარმომადგენლები და ეპიდემიოლოგები აქტიურად საუბრობენ მეხუთე ტალღის დასაწყისზე. ზოგიერთი მათგანის აზრით,მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ქვეყანა უკვე იმყოფება ეპიდემიის მეხუთე

ფაზაში. ყველაფრის მიზეზად, ვაქცინაციის მიმართ მოსახლეობის რადიკალურ დამოკიდებულებას და თავდაცვის ნორმების უგულვებელყოფას ასახელებენ. ყოველდღიურად იმატებს ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა. დღეისათვის, სამწუხაროდ, ქვეყანაში მხოლოდ 1 017 863 მოქალაქეა პირველი დოზით აცრილი, მათშორის, 914 311 პირი სრულადაა ვაქცინირებული. დღემდე, ქვეყანაში, 9 617 გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირდა, 5 725 ადამიანი კი სამედიცინო დაწესებულებაში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება-ესაა ბოლო, სამწუხარო სტატისტიკა. მიუხედავად ყოველდღიურად მზარდი რიცხვებისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი, ისევ წინააღმდეგია ვაქცინაციის. ე.წ ანტივაქსერები, ძირითადად, სოც. ქსელებში, რადიკალურად განწყობილი ადამიანების დამოკიდებულების ქვეშ არიან და საკუთარი არგუმენტებით ცდილობენ წინ აღუდგნენ ვაქცინაციის აუცილებელ და შეუქცევად პროცესს. საფრთხე, რომელშიც მსოფლიო მოსახლეობა უკვე ორი წელია ცხოვრობს, როგორც აღმოჩნდა იმაზე დიდი მასშტაბისაა, ვიდრე წარმოგვედგინა და მკვეთრად შეცვალა ჩვენი ცხოვრება და ყოველდღირობა. მთავარი დარტყმა, მაინც განვითარებადი ქვეყნების ისედაც დასუსტებული ეკონომიკა აღმოჩნდა. მოიშალა განათლების სისტემა. ექსპერტები და მედიცინის წარმომადგენლები ერთადერთ გამოსავალს, ვაქცინაციაში ხედავენ.

თუ რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე ჩვენს მუნიციპალიტეტში, როგორი ტემპით მიდის ვაქცინაცია, რამდენად დიდია ინფიცირების და მომართვიანობის შემთხვევები, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, დავით ჩიქოვანი ისაუბრებს:

- ბატონო დავით, რა მდგომარეობაა დღეისათვის მუნიციპალიტეტში, ქვეყანაში გაზრდილი მაჩვენებლის გათვალისწინებით, როგორი მდგომარეობა გვაქვს?

–4 ოქტომბრიდან, ძალიან მოიმატა ინფიცირებულთა რიცხვმა, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებას შეიძლება დავუკავშიროთ, განსაკუთრებით ბევრი იყო წინა კვირაში, დაახლოებით 250 ინფიცირებულია გასულ კვირას, მაღალი იყო დადასტურებული შემთხვევები 18 ოქტომბერს, სამწუხაროდ, მათმა რიცხვმა 105 მიაღწია. ეს მხოლოდ სამი ლაბორატორიის მონაცემებია, ძალიან ბევრია ბავშვები, პედაგოგები. ბევრია შემთხვევა ქვიშხეთის სკოლაში, როგორც პედაგოგებში, ისე მოსწავლეებში და მათ ოჯახის წევრებში. ამიტომ გადავწყვიტეთ, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, რომ სკოლა მთლიანად გადასულიყო დისტანციურ სწავლებაზე. ქალაქის მე-6 სკოლაშიც შვიდი კლასი დაიხურა. არის ახალი რეგულაციები, რომლის თანახმადაც, რეკომენდებულია რამდენიმე კლასის გადაყვანა დისტანციურ რეჟიმზე. დირექტორებთან ერთად გავდივართ ამ საკითხს და შესაბამისად ხდება გადაწყვეტილების მიღება. III, VIII და IX სკოლებშიც რამდენიმე კლასი დახურულია, რამდენიმე საბავშვო ბაღი დაკეტილია, ზოგში განახლდა სააღმზრდელო პროცესი.



- რა ინტენსივობით ხდება სკოლების ტესტირება?

–სისტემატურად, 14 დღეში ერთხელ ხდება კონტროლი, გასულ პარასკევს და შაბათს მთელი სკოლები გაიტესტა გეგმიური ტესტირებით, დღეს გაიტესტა ხაშურის და სურამის ბაღები და შაბათს გაიტესტება სოფლის ბაღები მეორედ. მართალია, ტესტირების პროცესი მაღალი რიტმით მიდის, მაგრამ მოსახლეობა არ იცავს რეგულაციებს, რამაც მოგვცა საერთოდ ეს მძიმე ფონი.

- რამდენი ტესტირების პუნქტია დღეისათვის ხაშურში?

–ძალიან ცუდი მდგომარეობაა ვაქცინაციის კუთხითაც. ინფიცირების გაზრდილი მაჩვენებლის მიუხედავად, აცრის მსურველთა რაოდენობა, არ გაზრდილა, სამწუხაროდ,ყოველდღიურად მცირდება კიდეც. თუმცა, დიდია ტესტირებაზე მომართვიანობა, ამის გამო, ტესტირების კიდევ ერთი პუნქტი გაიხსნა ხაშურში, სურამშიც უახლოეს დღეებში გაიხსნება, მოხდა მედ-პერსონალის გადამზადება-დატრენინგება. სამ ცენტრში უფასოა ტესტირება. ველოდებით მითითებას, რომ სკოლებმა თვითონ მოახდინონ ტესტირება, ამისთვის მოვამზადეთ პერსონალი და ველოდებით განათლების სამინისტროს ბრძანებას. ცოტა სირთულეა სოფლის სკოლების ტესტირებასთან დაკავშირებით.

- როგორია ვაქინაციის დინამიკა დღეისათვის?

აცრებთან დაკავშირებით, საგანგაშო მდგომარეობაა, ძალიან შემცირდა ამცრელთა რიცხვი. 18-ში აიცრა 28 ადამიანი, 10 პირველადი იყო, 18 - მეორადი. 16-ში 36 ადამიანი აიცრა. რიგები იდგა და გვიჭირდა მათი მომსახურება, დღეს რადიკალურად შეცვლილია მდგომარეობა, მიზეზი ალბათ ისაა, ვისაც უნდოდა აცრა და ჰქონდა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ის უკვე აიცრა და დარჩა ორი კატეგორია, ერთს ვერ გადაუწყვეტია აცრა და მეორე რადიკალურად წინააღმდეგია აცრის. სხვათაშრის, პედაგოგების, ბაღის აღმზრდელების და პერსონალის დიდი ნაწილი წინააღმდეგია ვაქცინაციის. ხაშურის ბევრ სკოლაში, პედაგოგების 80%-ია აცრილი, ბევრ სკოლაში, მხოლოდ 60%. რაც სამწუხარო რეალობაა. არის კატეგორია, რომელიც კატეგორიულად უარს აცხადებს, რაც ჩემი აზრით, ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა სკოლის, მოსწავლეების და საზოგადოების წინაშე.

- სოფლებთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა, როგორ ხდება მათი ვაქცინაცია?

–ამბულატორიის ექიმი აგროვებს მსურველებს და მომართვის შემდეგ, ჩვენ ადგილზე ჩავდივართ და ვცრით მოსახლეობას. ყველას ვთავაზობთ ამ სერვისს. გასულ კვირასაც, მომართვიანობის შემდეგ, წავიდა ჩვენი წარმომადგენელი და ალში 17 ადამიანი აცრა.

გვაქვს ძლიან მნიშვნელოვანი სიახლე, იწყება ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელშიც ჩართულია გუბერნია, დაავადებათა კონტროლი, რომ მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ეს კამპანია ამ ეტაპზე, დიდ დასახლებებზე გავრცელდება,ჩვენ შემთხვევაში, სურამში. ეს გულისხმობს 5000 სულიან დასახლებებს. შიდა ქართლში უკვე იყვნენ,გორის და კასპის ორ სოფელში. სოფლებში დამოკიდებულება ცოტა განსხვავებული და ხისტია. სწორედ ამიტომ გვჭირდება მათთან კომუნიკაცია.

რამდენიმე დღის წინ, მასწავლებლებთან და მოსახლეობასთან შეხვედრა იყო, ბიძინა კულუმბეგოვთან და წარმოუდგენელად ნეგატიური დამოკიდებულება იყო მასწავლებების მხრიდან ვაქცინირებაზე. ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ასთმა ჰქონდა, კულუმბეგოვმა საკუთარი ხელითაც აცრა. ეს იყო ადამიანი, რომელმაც თავის თავზე და ოჯახზე გამოიარა ეს სირთულე, მიხვდა, რომ საუკეთესო გამოსავალი ვაქცინაცია იყო. სწორედ ასეთი ჯანსაღი დამოკიდებულება გვჭირდება იმისთვის, რომ დავუბრუნდეთ ძველებურ ცხოვრების რიტმს და ქვეყანამ შეძლოს, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა.კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ვაქცინაციისკენ!

თამუნა ჯავახიშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ხაშურის არალეგალურმა სტამბამ მკვლევარ ვ. გურგენიძის ცნობით, იარსება 1912 წლამდე, შემდეგ მიკვლეული და განადგურებული იქნა.

1907 წლის 3 ივლისს, მეფის მთავრობამ დაითხოვა II სახელმწიფო სათათბირო, რაც გახდა სიგნალი ქვეყანაში დაწყებული მწვავე რეპრესიებისა. ისევე როგორც სხვაგან, ხაშურშიც დაპატიმრებული და გადასახლებული იქნენ რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი აქტიური მონაწილე.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კვალდაკვალ ვითარდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა. თუ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა წინა პლანზე სოციალურ საკითხებს სწევდა, ეროვნულ- დემოკრატიული ეროვნულს ანიჭებდა უპირატესობას. მათ შორის ფარული თუ აშკარა დაპირისპირება თანდათან თვალსაჩინო ხდებოდა. ამიტო იყო, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი პოზიციების გასამყარებლად ტერორს მიმართეს. 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ ამისთვის ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. სოციალ-დემოკრატები რევოლუციის წინაპერიოდში და მისი მიმდინარეობის დროსაც განსაკუთრებული, აღვირახსნილი პროპაგანდა გააჩაღეს ერის ღირსეული წარმომადგენლების წინააღმდეგ. ამ პერიოდში ერთ-ერთ სამიზნედ გადაიქცა ილია ჭავჭავაძე, რომელიც საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული და განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ბელადი იყო.

1907 წლის 30 აგვისტოს, სოციალ-დემოკრატებმა, საგურამოს გზაზე, წიწამურთან, მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ელვასავით მოედო წიწამურიდან წამოსული ეს ცნობა საქართველოს. ეს იყო ენით გამოუთქმელი დიდი ტრაგედია, როემლმაც შეძრა მთლიანად საქართველო.

„სიტყვით ვერ გამომითქვამს სასოწარკვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა გონებას მირევს, სინდისს მიბორკავს. მოჰკლეს ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია, ერის გული" – წერდა მოსკოვიდან ცნობილი თეატრალური მოღვაწე ალ. სუმბათაშვილი იუჟინი, რომლის ფესვებიც ხაშურში, სოფელ ქვიშხეთში-ია საძებნი.

წიწამურიდან წამოსულმა შემზარავმა ცნობამ მალე ჩამოაღწია ხაშურამდე. "... ხაშურის სადგურში, – იგონებს ვლასა შგელაძე, - თბილისიდან მოსულმა მატარებელმა გაზეთები მოიტანა, თავზარდამცემი ამბავი გვამცნო. ილია ჭავჭავაძის მოკვლის ხმა მოწმენდილ ცაზე მოულოდნელ გრგვინვად გაისმა.

დაუჯერებელია, მარა თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით დაბეჭდილი იყო: ილია მოკლეს! ილია აღარ გვყავს!

თვალებზე ბნელი გადამეკრა. ნათელი დღე დამიბნელდა, ხელები ჩამომივარდა, ტვინი გამეყინა, გულში რაღაც ჩამწყდა, მთელი ჩემი არსება გაშრა, როგორც სიცხისგან გამხმარმა – თვალებმა ცრემლები ვერ იპოვეს...

...გაზეთი ხელიდან გამივარდა, უაზროდ მოსავებული სკამზე ჩამოვჯექი, გონება ირეოდა...

გუშინ საყვარელი ცხოვრება, დღეს ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა".

ხაშურის საზოგადოება მთელ ქართველ ხალხთან ერთად განიცდიდა ამ დიდ ეროვნულ ტრაგედიას, სასტიკად გმობდნენ მკვლელობის ორგანიზატორებს და შემსრულებლებს.

სამგლოვიარო დეპეშების, წერილებისა და სიტყვების ზღვა ნაკადი დაიძრა ხაშურიდან თბილისისაკენ.

1907 წლის 4 სექტემბერს გაზეთ „ისარში" „სურამის ქართველი საზოგადოების" ხელმოწერით გამოქვეყნდა პირველი სამგლოვიარო დეპეშა ხაშურის რაიონიდან. მასში ვკითხულობთ: „გულის სიღრმემდის აგვაშფოთა ძვირფას ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის საზიზღარმა მკვლელობამ. ეს არის ეხლა გადავიხადეთ პანაშვიდი. ყველანი სასტიკად ჰგმობენ, ჰკიცხავენ და წყევლა-კრულვას უგზავნიან მკვლელებს. საუკუნო სირცხვილი და ჩირქი იმათ, ვინც აღმართა მახვილი წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძისა და განგმირა გული საქართველოს დიდებისა და სიამაყისა. ყველა ვგლოვობთ და ცხარე ცრემლით ვტირით."

იგივე გაზეთი, 7 სექტემბერს, მიხეილ ყიფიანისა და ვლადიმერ ჩიქოვანის დეპეშას აქვეყნებს: „ხაშურის შეგნებული ქართველობა შეძრწუნებული და მგლოვიარეა დიდებულ ეროვნული მგოსნის, პუბლიცისტისა და ყოველმხრივ აუნაზღველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სიკვდილის გამო. უსაზღვრო სიძულვილსა და ზიზღს ვუთვლით ველურებს, რომელთაც მხეცურად დაღვარეს სისხლი ჩვენის დიდებულ 70 წლის მოხუც მგოსნისა. შენ უკვდავი ხარ, ძვირფასი ილია, შენი დატანჯული და წამებული ერისთვის."

აქვეა მოთავსებული სოფელ ალის სასოფლოს საზოგადოების სახელით სერგი ხუცესის (გელაშვილი) გაგზავნილი წერილი: „სოფელ ალის საზოგადოების ათას კომლს მცხოვრებთ ყელში ლახვარივით მოჰხვდათ საქართველოს საუკეთესო მამულიშვილის მგოსნის ტრაგიკულად სიკვდილი. სწუხს და გლოვობს მთელი საზოგადოება იმ ადამიანის დაკარგვას, რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა მთელ ქართველობას თავის დაუღალავ მწერლობით და უმაღლესი ნიჭით. საზოგადოება უერთებს რა მწუხარებას მთელ ქართველ ერისას, ამავე დროს უღრმეს გულის წყრომას უცხადებს იმ უმსგავსო კაცუნებს, რომელთაც ხელიდან გამოგვაცალეს დაუვიწყარი და დაუფასებელი უნიჭიერესი პოეტი ილია ჭავჭავაძე."

გაივლის სულ რაღაც 17 წელი და ამ წერილის ავტორს ის „უმსგავსო კაცუნები" 1924 წლის აგვისტოს ცნობილ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრებენ და სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ.

8 სექტემბერს, გაზეთი „ისარი" ი. ტასიკაშვილის პატარა წერილს აქვეყნებს სურამში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბის გავრცელების შესახებ. „თავზარდამცემი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ჩვენ, სურამლებმა, ყრუდ პარასკევს, 31 აგვისტოს შევიტყეთ. მოუთმენლად ველოდით მეორე დღის გაზეთს, სადაც გავიგებდით ნამდვილს, მაგრამ ეჭვი ტყუილი იყო, ის თქვენ მტერს რაც ჩვენ შევიტყვეთ შაბათის გაზეთით: ილია შარა-გზაზე წუთისოფელს გამოასალმესო.

კვირას, 2 სექტემბერს, პოეტის სულის მოსახსენებლად, გადახდილი იქნა პანაშვიდი, შემდეგ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს სტუდენტებმა გრ. შალიბაშვილმა და სვიმონიძემ, დეპუტაცია დასაფლავების დღისთვის სურამიდანაც მოდის."

გარდა წერილებისა, სამგლოვიარო დეპეშები გაიგზავნა:

სურამიდან: მომრიგებელი სასამართლოს მოსამსახურეების, სურამელი ვაჭრებისა და ქართველ ქალთა ჯგუფისაგან.

ქვიშხეთიდან: ქვიშხეთელი ქალებისაგან, აგრეთვე ე. კლდიაშვილის, ს და დ. სუმბათაშვილების, დ. ნემსაძის, ლ. ლორიას, პ. ბედიაშვილის, მიხეილ, კოტე, ლუარსაბ, ზაზა, სანო, ლევან, ივანე და სვიმონ ყიფიანებისაგან.

გომიდან: ალექსანდრე და ვახტანგ ამირეჯიბებისა და სადგურ გომის მოსამსახურე და მომუშავეთაგან.

ალიდან: სოფელ ალის მცხოვრებელთაგან.

დიდი მგოსნის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს სოფელ ვაყის სკოლასა და სურამში.

დაკრძალვის პროცესიას, 9 სექტემბერს, 179 გვირგვინი მოუძღოდა წინ საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან გამოგზავნილი. გვირგვინებს შორის იყო აგრეთვე შემდეგი გვირგვინები:

სოფელ ალის გლეხობისაგან: „შრომის ახსნა ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის."

სადგურ მიხაილოვოს ქართველ მოსამსახურეთა და მცხოვრებთაგან: „დაუვიწყარ მგოსანს, საყვარელ მამას ილია ჭავჭავაძეს."

სოფელ ქვიშხეთის მცხოვრებლებისაგან: „სასიქადულო მამულიშვილს."

სურამის ქართველ საზოგადოებისაგან: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მგოსანო ჩემო, მაინც დარჩება."

ასეთი გამოხმაურება ჰქონდა ხაშურის საზოგადოებაში დიდი ილიას მკვლელობას. ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენცია კარგად გრძნობდა, რომ მისი მკვლელობა მიმართული იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მართლაც, ეროვნულმა ძალებმა ვერ შეძლეს სათავეში ჩადგომოდნენ გამათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველი ხალხის ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას. თანდათან იმძლავრა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ და თითქმის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

ქვეყანაში გამეფებულმა რეაქციამ თავისი კვალი დაამჩნია ხაშურსაც. დააპატიმრეს და საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაასახლეს მოწინავე მუშები, რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილენი ფ. თევზაძე, გ. გორგაძე, ა. როსენოვი, დ. ელიზბაროვი და სხვები. ხაშურში ცხოვრება აეკრძალათ ა. მჟავანაძეს, ნ. ჩუბინიძეს და სხვებს.

1908 წლის 5 აგვისტოს ამიერკავკასიის რკინიგზის გასხვისების ზოლის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიას ატყობინებდა: „...არავითარი გაფიცვები არ ყოფილა რკინიგზის მოსამსახურეებს შორის სადგურ მიხაილოვოს რაიონში. უარი განაცხადეს მუშაობაზე მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებიც დღიური ქირით მუშაობენ ლიანდაგის შეკეთებაზე. მათ არ მიიღეს გზის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული პირობები, რის შემდეგაც სამუშაოზე დააყენეს რკინიგზის ბატალიონის დაბალი ჩინები და მოწვეული იქნენ მუშები სხვა ადგილებიდან იმის გამო, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ჩამოსულ მუშებს, აგრეთვე ჟანდარმთა პოლიციის პატაკის (მოხსენების) გამო, რომ რკინიგზის ზოგიერთი მოსამსახურე აგიტაციას ეწევა მუშებს შორის და არწმუნებს (შეაგონებს) მათ შეუპოვრობა გამოიჩინონ თავიანთი მოთხოვნების შესრულებაში, მიღებული იქნა შემდეგი ზომები: გამომჟღავნებულია წამქეზებელნი, ექვსი კაცი, სახელდობრ კი შემკეთებელი მუშები: იასონ ელიზბარაშვილი, ალექსი როსენოვი, გიორგი გიორგაძე, შალილოვი, პარასტაშვილი, ვასილ გრიგორიევი, აბასაშვილი და ფილიპ (იგივე ფილიმონ) თევზაძე, გადასახლებუნი არიან ასტრახანის გუბერნიაში. გზის დარაჯებს ანტონ მჟავანაძეს და ნიკოლოზ ჩაჩანიძეს, გადასასვლელის დარაჯს ტრიფონ ცუცქირიძეს, შუბითიძეს და ილარიონ მაჭავარიანს აეკრძალათ გასხვისების ზოლში ყოფნა. საქართველოს რკინიგზის აგენტი, გზის ოსტატი ნიკოლოზ ილიას ძე ხაჩიძე გადაყვანილია მუსულმანებით დასახლებულ სხვა უბანზე."

მოგვიანებით როსტოვის გუბერნიაში გადაასახლეს რევოლუციონერი ქალი ლოლა ხოზბერიძე, დავით სულიაშვილი ქუთაისის ციხეში მოათავსეს. აქედან იგი რევოლუციონერთა ერთ ჯგუფთან ერთად გვირაბით გაიქცა და ემიგრაციაში გაემგზავრა სადაც დაჰყო 1917 წლამდე. ემიგრაციაში წავიდა აგრეთვე ვ. ძნელაძე, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მან მოახერხა კვლავ ხაშურში დაბრუნებულიყო და განაგრძო რევოლუციური მუშაობა.

ფილიმონ თევზაძე, ალექსი გორგაძე და სხვები, რომლებიც ასტრახანის გუბერნიის ქალაქ სელნიჩოგოდსკში იხდიდნენ სასჯელს, ქალაქის ლაზარეთში 1911 წელს გაიცნეს ცნობილი ქართველი პოეტი - რევოლუციონერი იროდიონ ევდოშვილი, რომელიც ასევე გადასახლებული იყო რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. იგი 1909 წელს დააპატიმრეს, ჯერ მეტეხის ციხეში მოათავსეს, ხოლო ათი თვის შემდეგ სამი წლით ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს. ციხესა და გადასახლებაში ყოფნამ შეარყია პოეტის ჯანმრთელობა. ერთი წლის შემდეგ ექიმების რჩევით ი. ევდოშვილი ასტრახანის გუბერნიაში გადააგზავნეს და ქალაქ ჩორნი იარის საავადმყოფოში მოათავსეს, როგორც უკურნებელი სენით დაავადებული. შემდეგ კი ქალაქ სელნიჩოგოდსკის ლაზარეთშია.

ი. ევდოშვილთან ახლო ურთიერთობაში იყო ფილიმონ თევზაძე, რომელიც მზრუნველობით უვლიდა ტუბერკულიოზით დაავადებულ მგოსანს.

როცა იროდიონ ევდოშვილი ექიმების დაჟინებული მოთხოვნით სამშობლოში დააბრუნეს, მან გამომგზავრების წინ მეგობრობის ნიშნად თავისი პირადი ნივთები – სამოვარი, საკარაქე, ფრჩხილების საჭრელი და წვერის საპარსი მოწყობილობა ფილიმონ თევზაძეს აჩუქა.

ფილიმონ თევზაძე გადასახლებიდან თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და თან ჩამოიტანა ი. ევდოშვილის მიერ ნაჩუქარი ნივთები. ამათგან ინტერესს იწვწვდა საკარაქე, რომელიც დამზადებული იყო არყის ხის კანისაგან, სახურავი და ძირიც გაკეთებულია მისივე მერქანისაგან. საკარაქეს ძირზე აქვს შემდეგი წარწერა: „ სახსოვრად ფილიმონ თევზაძეს, ი. ხოსიტაშვილი."

1963 წელს ფილიმონ თევზაძემ აღნიშნული ნივთები ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა. დღეს ეს ნივთები სოფელ ბოდბისხევში ი. ევდოშვილის სახლ-მუზეუმში ინახება.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, – წერს მკვლევარი გ. გოგოლაძე, – მეფის მოხელეები თითქოს გამარჯვებას ზეიმობდნენ. ზოგიერთი მერყევი რევოლუციონერი თავის მხარეზე გადაიყვანეს და პოლიციის ჯაშუშებად იყენებდნენ, მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა. მტკიცე რევოლუციონერები პარტიის ხელმძღვანელობით არ წყვეტენ მუშაობას. ისინი სასტიკად უსწორდებიან რევოლუციის საქმის მოღალატეებს. არ ინდობენ მათ, ვინც ცდილობდა სახელი გაეტეხა რევოლუციონერებისათვის. შავრაზმელთა ტერორს ხაშურელმა ბოლშევიკებმა წითელი ტერორით უპასუხეს და სიცოცხლეს ასალმებდნენ რევოლუციის საქმის ყველა მოღალატეს.

რეგიონში შექმნილი ასეთი სიტუაციის გამო, გუბერნატორი ლოზინსკი კავკასიის მეფის ნაცვალს 1910 წლის 8 აპრილს წერდა: „1905-1906 წწ რევოლუციური ბანდების ნარჩენები, რომლებმაც დაკარგეს კავშირი პარტიულ ორგანიზაციებთან და ხელმძღვანელებთან, გადაიქცნენ ყაჩაღთა ორგანიზაციებად. ისინი ძარცავენ და არბევენ ხალხს, შიშის ზარს სცემენ მას, ჰკლავენ ყველას, ვინც ბედავს მათ წინააღმდეგ გამოსვლას და ხელისუფლების დახმარებისათვის მიმართვას. ამის წყალობით პოლიციის შემადგენლობის და განსაკუთრებით კი საძიებო აგენტების მიმართვის გამო, რჩება ბევრი გაუხსნელი საქმე, ბოროტმოქმედების ჩამდენი პირები თავს იძვრენენ ჯეროვანი სასჯელისაგან და ამით ღებულობენ კიდევ უფრო მეტ განდიდებას ტერორით დაშინებული მოსახლეობის წრეში."

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25,26,31,32)

2. პეტრე ბეროზაშვილი, მისი ცოლი, ბიძაშვილები ნიკოლოზი, ზაალი და ფარსადანი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური სახნავი საგვარეულო მიწა, იღებს 60 კოდ პურს, ერთდღიური სახნავი ვენახი, რომლიდანაც იღებს 6 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

აზნაურ ზურაბ ციმაკურიძის გლეხები

1. გიორგი შაბუთიძე (?), მისი ცოლი, ვაჟი ნინია. მოჯამაგირეობს ბატონთან,მისგან იღებს სარჩოს.

შენიშვნა 1. ეს სოფელი გაშენებულია წყაროებთან, რომელსაც ეძახიან ცხრას. მიწები ამ სოფელში - 350დღიური ნაყოფიერი,300 დღიური მწირი. ამ სოფლის კუთვნილი ტყე მთაში, იქნება 30000 დღიური, 1 წისქვილი, 11 ვენახი, მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა ხვნა-თესვა, ნაწილობრივ მესაქონლეობა და მევენახეობა, მცირე მეფუტკრეობა.

წინანდელი აღწერით ამ სოფელში ნაჩვენები იყო მხოლოდ საბატონო გლეხები აზნაურების გარდა 20 კომლი, ზოგიერთო მათგანი იხდიდა სურსათს თავად აბაშიძეების გლეხებს შორის, უმეტესობა დაბეგრილი საერთოდ არ იყო, ახლა კი აზნაურებისა და ჭირისაგან გარდაცვლილების გარდა, არიან მხოლოდ გლეხები, 18 კომლი, რომელთაგან გადასახადის გადახდა შეუძლია თავად ივანე და კნეინა სალომე აბაშიძეების 3 კომლს, ხორბალი 9 კოდი, ქერი 6 კოდი, აზნაურ დავით ორჯონიკიძის 3 კომლს ამდენივე, აზნაურ ზურაბ ჩხეიძის 2 კომლს, ხორბალი 6 კოდი, ქერი 4 კოდი, აზნაურ პაპუნა ორჯონიკიძის 3 კომლს, ხორბალი 9 კოდი, ქერი 6 კოდი, თავად ევსტათი აბაშიძის 2 კომლს, ხორბალი 6 კოდი, ქერი 4 კოდი, აზნაურ ზურაბ ციმაკურიძის ერთ კომლს, მოჯამაგირედ ყოფნის გამო, გამოსაღების გადახდა არ შეუძლია.

სოფელ ჭალაში თავად გიორგი აბაშიძის ყოფილი გლეხები, ახლა კი გვარის გაყოფისას მოხვდნენ სხვასთან.

აზნაური ბეჟან ჩხეიძე, მისი ცოლი, ქალიშვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, 60დღიური საგვარეულო მიწა სოფელ ტეზერში, ხნავს ათდღიურს, იღებს 100 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 20 სული, 2 ცხენი, 4 სკა ფუტკარი, ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. აზნაური ელიზბარ სავანელოვი, მისი დედა, ძმისწულები (მდედრ), აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 11 სული, 1 ცხენი, ხნავს სხვის ათდღიურ მიწას, იღებს 100 კოდ პურს, ხვნა- თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. ბუჭუა ტალახაძე, მისი ცოლი, ვაჟები -სიმონი და პეტრე, ქალიშვილი.

მიწა არ აქვს, ეწევა საქონლის მწყემსვას, აქედან აქვს წლიური შემოსავალი.

აზნაურ ივანე სავანელოვის გლეხები

1. ივანე რაზმაძე, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე და გიორგი, მათი ცოლები, გიორგის ვაჟი სიმონი, ქალიშვილი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 7 სული, 2 ცხენი, ხნავს აბაშიძეების მიწას ღალაზე, რვადღიურს, იღებს 90 კოდ პურს, ხვნა -თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს,

2. ზურაბ გოსტაშაბიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა იაკობი, მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების მიწას ღალით, ხუთდღიურს, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ევსტათი აბაშიძის გლეხები,

1. (სახელი არ იკითხება) კიკნაძე, მისი ვაჟი სიმონი, ქვრივი, ვაჟები:

შაქარა, გრიგოლი და ივანე, ქალიშვილი. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, რვადღიური საბატონო მიწა, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. ივანე თომაძე, (ქვრივი,) მისი ვაჟი პავლე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები, დავითი (ქვრივი), ლომკაცი და თევდორე, დავითის ვაჟი გიორგი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. სიმონ მალიძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: გიორგი, გრიგოლი და ივანე, მათ ყავთ დედა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი, 5 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვთ სარჩო.

4. კაცია ვეშაპიძე ,ქვრივი, მისი ვაჟი ნინია. ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების 3 დღიურ მიწას ღალაზე, იღებს 30 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სახვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

5. ნინია ლომინაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი, მისი ცოლი, ვაჟი გრიგოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამდღიური საბატონო მიწა, იღებს 15 კოდ პურს, დღიური სამუშაოებით იღებს სარჩოს.

6. აღაჯან არუთინაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ფარსადანი, ქალიშვილი.

ამ ოთხსულიანი ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია, აქვთ სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

7. ივანე ლალიშვილი (?), მისი ცოლი, ვაჟები: თევდორე, ლუკა, იორდანე, და ანდრო, ქალიშვილი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამდღიური სახნავი საბატონო მიწა, აგროვებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად გიორგი აბაშიძის ყოფილი გლეხები, რომლებიც ახლა გაყოფით ერგო თავად ლევან აბაშიძეს.

1. სესია ბიბილური, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი გლახა, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ივანე, მისი ცოლი, ძმისშვილი ნინია.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, შვიდდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული.

2. დავით კახი, მისი ცოლი, ვაჟები ნინია და გიორგი, 4 ქალიშვილი

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, აგროვებს 25 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3.სესია ჯაფარიძე, მისი ცოლი, ვაჟები შალვა და დავითი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ოტია, ოტიას ცოლი და ქალიშვილი, ბიძაშვილი როსტომი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, აგროვებს 30 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, წისქვილი ერთ ბორბალზე, იღებს შემოსავალს 10 კოდს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

4. გოგია ჩიტაძე, მისი ცოლი, ვაჟი ნინია.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური საბატონო მიწა, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

5. ივანე ლაცაბიძე, მისი ცოლი, ვაჟები: ზურაბი და ნინია, ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი, სხვადასხვა სამუშაოებით ირჩენს თავს

6. სესია ლომსაძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟები: გიორგი და პეტრე.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

(მინაწერია ფანქრით-თავად ევსტათი აბაშიძისები-ამიტომაც იწყება ნუმერაცია თავიდან-დ.ხ.)

1. თომა ბითაძე, მას ყავს დედა, ბიძაშვილი სიმონი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, 7დღიური საბატონო მიწა, აგროვებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

7. გოგია წეველიძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟები: თევდორე და ივანე.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური საბატონო მიწა, გროვებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

1811 წელს ჯავახეთიდან მოსული-

8. ივანე კოიოტაშვილი(?), მას ყავს ცოლი,- იმყოფება მოჯამაგირედ

9. გოგია ხოზაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ანდრო- მოჯამაგირეა.

თავად გიორგი აბაშიძისაგან გაყრილი, თავად ქაიხოსრო აბაშიძის გლეხები

1. მახარობელ ღონდაძე, მისი ცოლი, ვაჟი, გაბრიელი .

ამ ოჯახის ქონება ნაჩვენები არ არის.(დ.ხ.)

თავად ევენი აბაშიძის ყოფილი გლეხები, ახლა კი ეკუთვნიან თავად ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძეს.

1. ივანე არჯევანიძე , მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, ვაჟები: ანდრო, დავითი, გრიგოლი, გაბრიელი და სიმონი. მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა-გოგია.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ოცდღიური საბატონო მიწა, იღებს 10 (?) კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. პეტრე არჯევანიძე, მისი ცოლი და 3 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გლახა. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, (ზ.აღწერილი არჯევანიძეების სანახევრო მიწა), ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 3 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ევგენი აბაშიძის ყოფილი გლეხი, ახლა კი ეკუთვნის თავად ივანე დავითის ძე აბაშიძეს.

1. გოგია კიკნაძე, მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, ვაჟები: აღდგომელი და ბერო, მისი ბიძაშვილი გოგია. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი. ორდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

აზნაურ გაბრიელ სავანელოვის გლეხები

1. სიმონ მარგველაშვილი, მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი, მისი ცოლი, ვაჟი-როსტომი, მათი დედა.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების ხუთდღიურ მიწას ღალაზე, მოჰყავს 50 კოდი პური, რქოსანი პირუტყვი12 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. გიორგი ქებაძე (ქვრივი), ვაჟები: ნინია და თომა, მათი ცოლები, ნინიას ვაჟები: გიორგი და პეტრე, ქალიშვილი, თომას ვაჟები: ქიტესა და პავლე, ქალიშვილი. ამ თერთმეტსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების ორდღიურ მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული,, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. ზურაბ გოსტაშაბიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, მასთან ერთ ოჯახში

მისი ძმა იაკობი, მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების მიწას ღალით, ხუთდღიურს, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ევსტათი აბაშიძის გლეხები,

1. (სახელი არ იკითხება) კიკნაძე, მისი ვაჟი სიმონი, ქვრივი, ვაჟები:

შაქარა, გრიგოლი და ივანე, ქალიშვილი. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, რვადღიური საბატონო მიწა, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2 .ივანე თომაძე, (ქვრივი,) მისი ვაჟი პავლე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები, დავითი (ქვრივი), ლომკაცი და თევდორე, დავითის ვაჟი გიორგი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. სიმონ მალიძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: გიორგი, გრიგოლი და ივანე, მათ ყავთ დედა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი, 5 სკა ფუტკარი, ხვნა- თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვთ სარჩო.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

ანტივაქსერული მითები დღეს და 200 წლის წინ - იპოვე მცირე განსხვავება მაინც

საქართველოში ვაქცინაციის პროცესი, რბილად რომ ვთქვათ, კუს ნაბიჯებით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 4 სახის ვაქცინაა და მოქალაქეებს ფართო არჩევნის საშუალება აქვთ, ისინი აცრას არ ჩქარობენ. მეორეს მხრივ, ბოლო კვირაა, კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა ტრაგიკულად მაღალია. დღიური ინფიცირების მაჩვენებელი კი 3000 - ზე მეტია.

ადამიანთა ნაწილი ვაქცინას სკეპტიკურად უყურებს. ზოგისთვის შექმნის ვადები არის საკმაოდ მცირე, ზოგი დარწმუნებულია, რომ ხსნარში თხევადი ჩიპია მოთავსებული და ვიღაც, ამერიკაში შეპყრობილია მათი მონაცემების კონტროლით, ნაწილი ვარაუდობს, რომ ვაქცინა მემკვიდრეობის გაგრძელებაში ხელს შეუშლის, ხოლო უკიდურეს ნაწილს დღემდე საერთოდ არ სჯერა კორონავირუსის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფექციის დამარცხება შესაძლოა ერთი ხელის გაწვდენაზეც კი, საზოგადოება მაქსიმალურად წელავს ამ პროცესს და უკმაყოფილებას გამოთქვამს, ვაითუ მათი ყველაზე საშინელი კოშმარი ახდეს და ვაქცინაცია სავალდებულო გახდეს?!

ჩვენ შევეცადეთ მოგვეკვლია, რა გავრცელებული მითები იყო სხვადასხვა ეპიდემიის დროს, რამდენად წინ წავიდა საზოგადოება, ირწმუნა მეცნიერების ან რამდენად გამრავალფეროვნდა ჩვენი კონსპირაციული ფანტაზიები გასულ საუკუნეებთან შედარებით?

მე-18 საუკუნეში, როცა შავი ჭირი ევროპაში მძვინვარებდა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე თან მიჰქონდა, თითქოს ხსნა არსაიდან ჩანდა. ადამიანები ღმერთს ევედრებოდნენ, რომ ეს მართლა ჭირი არ შეხვედროდათ და როგორმე მათი ორგანიზმი დაავადების მიმართ მდგრადი აღმოჩენილიყო.

1796 წელს, ექიმმა ედვარდ ჯენერმა ძროხის ჭირით ექსპერიმენტები დაიწყო. ძროხის ჭირი შავი ჭირის მსუბუქი ფორმა იყო, ჯენერი კი მცირე დოზებს უკეთებდა ადამიანებს, რითაც მათ იმუნიტეტს აძლიერებდა და შავი ჭირის მიმართ ნამდვილად მდგრადს ხდიდა. მან ექსპერიმენტი ბავშვებში გააგრძელა და შედეგის ეფექტში იმდენად დარწმუნებული იყო, რომ თავის 11 თვის ვაჟიშვილსაც გაუკეთა აცრა. ასე წარმოიქმნა სიტყვა "ვაქცინაცია", რომელიც იმუნიზაციის პროცესს აღნიშნავს, რომლის ფუძესაც წარმოადგენს ლათინური სიტყვა "vacca", რაც ძროხას ნიშნავს.

როდესაც ეს ამბავი სასულიერო პირებმა გაიგეს, ისინი აღშფოთდნენ.

"როგორ შეიძლება, ადამიანში ძროხის ნაწილაკები შეიყვანო, ეს ადამიანს "ხარისმაგვარად" გადააქცევს", - ამბობდნენ ისინი.

უსწრაფესად გავრცელდა ვერსია, რომ ვაქცინირებულ ადამიანებს გამოეზრდებოდათ კუდი, ხოლო თავზე რქები ამოუვიდოდათ, შეცვლილი გენები კი თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მოკლე ხანში, ფართო საზოგადოებისთვის მოულოდნელად აშკარა გახდა, რომ ვაქცინირებული ხალხი ნახირად არ გადაიქცა, ისინი ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ იმ სხვაობით, რომ კიდევ უფრო ჯანმრთელები და ვირუსისადმი მდგრადები გახდნენ.

კონსერვატული და სასულიერო საზოგადოების ნაწილი შეიკრიბა და განაცხადეს, - მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროგნოზი არ გამართლდა, ვაქცინაცია მაინც დაუშვებელია, რადგან ის ღვთის ნებას ეწინააღმდეგებაო...

1853 წელს ბრიტანეთში შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სავალდებულო გახდა. 1885 წელს კი, უზარმაზარი აქცია მოეწყო. მოსახლეობის ნაწილმა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა, პერფორმანსი მოაწყო: ათიათასობით ადამიანს ხის პატარა კუბოები ხელში ეკავათ, კუბოზე კი ედვარდ ჯენერის სურათები ჰქონდათ მიკრული. ერთ-ერთი აქტივისტი ვილიამ ტები ამერიკაშიც გააგზავნეს, რათა მათი კონსპირაციული თეორიები იქაც აქტიურად გავრცელებულიყო. საბოლოოდ, სავალდებულო ვაქცინაცია მეტ-ნაკლებად შეიზღუდა, თუმცა ინფიცირების შემთხვევებმა მკვეთრად იმატა და დაავადების აფეთქების რამდენიმე კერა გაჩნდა, როგორც ბრიტანეთში, ასევე აშშ-ში.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მომდევნო საუკუნეებში ვაქცინებისადმი ანტივაქსერების დამოკიდებულება, ტონი ან ტაქტიკა შეიცვალა, ცდებით.

შემდეგი 100 წლის განმავლობაში გამოჩნდა ისეთი ინფექციები, როგორიცაა ტეტანუსი, დიფტერია და ყივანახველა. ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები კი ბავშვები იყვნენ, განსაკუთრებით კი ახალშობილები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დედების უმეტესობა შექმნიდა ანტივაქსერულ თეორიებს. "საიდუმლოდ გავიგე, რომ აცრა ბუნებრივ იმუნიტეტს ასუსტებს" - ამბობდნენ მშობლები და ექიმები დაუღალავად უხსნიდნენ, რომ ადამიანის ორგანიზმს ტეტანუსის, დიფტერიისა და ყივანახველას თანდაყოლილი იმუნიტეტი არ გააჩნია, სხვა შემთხვევაში მის საწინააღმდეგო ვაქცინას არც გამოიგონებდნენ.

"მე მაინც, მირჩევნია 1 წლამდე მოვიცადო, შევხედო რა მოხდება", - აგრძელებდნენ ანტივაქსერები. "რაღა ერთ წლამდე, ბარემ 5-მდე მოიცადეთ", - ამბობდნენ დანარჩენები, არადა, ექიმები ცდილობდნენ აეხსნათ, რომ: "ადამიანის იმუნიტეტის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ 1-დან 5 წლამდეა".

1974 წელს "ბავშვთა დაავადების არქივში" გამოქვეყნდა კვლევა, რომლის მიხედვით, ტეტანუსის, დიფტერიისა და ყივანახველას აცრის შემდეგ, პირველ 24 საათში 36 ბავშვს ნევროლოგიური გართულება განუვითარდა.

ანტივაქსერებისთვის ეს კვლევა ნამდვილი ზეიმი იყო, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ზემოთნახსენები ინფექციების საწინააღმდეგო აცრაზე უარი თქვა. მალევე კი დიდ ბრიტანეთში ყივანახველამ 100 000 ადამიანი დააზარალა. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ კვლევის ავტორებს ის 36 ბავშვი პირველი 24 საათის შემდეგ არა რამდენიმე წლის, არამედ, რამდენიმე თვის შემდეგაც კი აღარ შეუმოწმებიათ. საბედნიეროდ, ბავშვები ჯანმრთელები და გავრცელებული ინფექციისადმი დაცულები აღმოჩნდნენ. არქივში გამოქვეყნებული შედეგების ნამდვილობა კი ეჭვის ქვეშ დადგა. ანტივაქსერები დამარცხდნენ, თანაც ორჯერ.

1998 წელს ვაქცინის წინააღმდეგ არსებული შიშები სერიოზულად გაიზარდა და ამჯერადაც კონსერვატული რელიგიური წრის გარდა, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც იზიარებდნენ შეხედულებებს. ყველაფერი კი ერთი კვლევის ბრალი იყო, რომლის შედეგები დიდი ხანია უარყოფილია.

ენდრიუ ვეიკფილდმა სამედიცინო ჟურნალ The Lancet-ში გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც ეწერა, - წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინამ, რომელიც ბავშვს პირველად 18 თვის, ხოლო მეორედ 4 წლის ასაკში უკეთებენ, შესაძლოა აუტიზმი გამოიწვიოსო. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მცდარი აღმოჩნდა, მისმა მომხრეებმა აიკვიატეს და დეზინფორმაციული ბომბი მთელ მსოფლიოში გაავრცელეს. 20 წლის შემდეგაც კი ადამიანებს ვეიკფილდის მცდარი კვლევის სჯერათ. დიდწილად სწორედ ენდრიუს ბრალია, რომ ადამიანებს ვაქცინის შეყვანის შემდეგ სხვადასხვა დაავადებების გაჩენის სჯერათ.

ყველასთვის ცნობილი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინით (BCG) აცრის შემდგომ მკლავზე დატოვებულ კვალს, საუკუნის წინ, სწორედ ასევე ეძახდნენ "ეშმაკის ბეჭედს", როგორც ახლა ზოგიერთი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინებს მოიხსენიებს.

2010-იან წლებში, პაკისტანში, სულ ორი რამის ეშინოდათ: ამერიკული გავლენის გაზრდისა და პოლიომიელიტის. ქვეყანაში ინფექციის მასიური ვაქცინაცია მიმდინარეობდა. ქალაქ აბოტაბადში აცრებს დოქტორი შაკილ აფრიდი ატარებდა. იმუნიზაციის პროცესი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA)-ს გეგმაც იყო. სადაზვერვოს ინფორმაციით, ქალაქის ერთ-ერთ საცხოვრებელ კომპლექსში უსამა ბინ ლადენი იმყოფებოდა. პაკისტანური მხარე ამტკიცებს, რომ აფრიდი CIA-ს ამ ინფორმაციის დადასტურებისთვის სჭირდებოდა.

დოქტორი სახელმწიფომ მოღალატედ შერაცხა და 33 წლით ციხეში ჩასვა. თალიბებმა კი ეს შემთხვევა ვაქცინის ანტიპროპაგანდისთვის გამოიყენეს, ჯანდაცვის თანამშრომლები ჯაშუშობაში დაადანაშაულეს და მეორე დღეს 70 მედიკოსი დახვრიტეს. მეტიც, მათი ექიმების დევნა დღემდე გრძელდება.

სიტუაცია პაკისტანში რადიკალურად გაუარესდა, ქვეყანაში პოლიომიელიტის რეკორდული შემთხვევები გამოვლინდა, ვითარების გამოსწორება მხოლოდ 2021 წელს მოხერხდა.

პაკისტანში ეპიდაფეთქების შემთხვევა - ნათელი მაგალითია იმისა, რომ ულტრა-რელიგიურ და პოპულისტურ ჯგუფებს ვაქცინაციის წინააღმდეგ უზარმაზარი და სავალალო შედეგების მომტანი კამპანიის მოწყობა შეუძლიათ.

ჩვენ დროში კი ანტივაქსერობის ნაკადის შეჩერება ურთულესია. სოციალურმა ქსელებმა და მესენჯერებმა მათ სამიზნე აუდიტორიასთან პირდაპირი, უშუალო წვდომა მისცა.

პირველი ვაქცინიდან 200 წელიწადზე მეტი გავიდა. კაცობრიობა კოვიდ-19-ის სახით მორიგ პანდემიას ებრძვის. დღევანდელი ედვარდ ჯენერები საზოგადოების ნაწილისთვის, ისევე როგორც მარავალი წლის წინ, ახლაც არა ხსნად, არამედ მტრად ცხადდებიან.

არის კი საუკუნეები საზოგადოების განვითარებისთვის საკმაო დრო? რა მნიშვნელობა აქვს, თუ 200 წლის წინ ადამიანს ეგონა, რომ ვაქცინა მას კუდსა და რქებს "გამოუყვანდა" და ცხოველი გახდებოდა, ხოლო დღეს კი ჰგონიათ, რომ ისინი "იჩიპებიან" და ბილ გეითსი (პირობითად) მათ გაკონტროლებას შეძლებს.

ამ ისტორიაში ტრაგიკული მხოლოდ ის კი არაა, რომ საუკუნეების განმავლობაში ვერ ვისწავლეთ, რომ ვაქცინა ერთადერთი საშუალებაა პანდემიის დამარცხებისა, არამედ ისიც არის, რომ ჩვენს დროში ანტივაქსერული მოძრაობა მნიშვნელოვანწილად კრემლიდან, ჩვენი მთავარი მტრის მიერ იმართება. ეს ფაქტი "ფეისბუქმა" შესაბამისი ტროლებისა და ბოტების ანგარიშების დაბლოკვით დაადასტურა, თუმცა ამასაც კი ქართველი ანტივაქსერების იდეებზე გავლენა არ ჰქონია. მათ ნაწილს კვლავ სჯერა, რომ ვაქცინა არ გვიცავს, ხოლო მთლად უკიდურესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ არანაირი კორონა არ არსებობს. და თანაც, რის ფონზე? გადაჭედილი საავადმყოფოების, სამედიცონო პერსონალის შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობის, დასუსტებული ეკონომიკისა და უდიდესი კოლაფისის მოლოდინში.

ახლა, როცა პერანგს შეისწორებთ, საკუთარი თავით სარკეში დატკებებით და უზარმაზარ ქორწილში სუფრას მიუსხდებით, უნდა ფიქრობდეთ, რომ სადღაც, ვიღაც თქვენი თანამემამულე ბოლო ძალებით ცდილობს ისუნთქოს და ფილტვები სამუდამოდ არ გაეთიშოს. მისი შვილები, მშობლები და ახლობლები კი ყველა ღონეს იყენებენ, რომ იქნებ, საავადმყოფოში მაინც მოახვედრონ. თქვენ კი, დაახლოებით იქ ხართ, სადაც საუკუნების წინ იყვნენ ის ადამიანები, კუბოებითა და ედვარდ ჯენერის სურათებით...

ანრი კურტანიძე

ხაშურში, კულტურის სახლის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

ადგილზე იმყოფებოდნენ და პროექტის მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, პროექტის ფარგლებში, უკვე მოეწყო

სცენა, საოპერატორო სივრცე, მოპირკეთდა და შეიღება ჭერი, კედლები, დაიგო დარბაზის იატაკი, მოეწყო გახმოვანებისა და განათების სისტემები. სულ მალე, გაკეთდება დარბაზში შესასვლელი კარი, დამონტაჟდება სკამები.

საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 900 000 ლარზე მეტს შეადგენს.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების მეტად განვითარებას, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ნაბახტევში, ვაყაში და ახალსოფელში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და წლის ბოლომდე დასრულდება. კრისხევში კი სამუშაოები უკვე დასრულდა და ადგილობრივ მოსახლეობას განახლებული საავტომობილო გზით უკვე შეუძლია სარგებლობა. სოფელში აქამდე საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა და ადგილობრივებისთვის გადაადგილება, განსაკუთრებით კი უამინდობისას, პრობლემას წარმოადგენდა. პროექტები როგორც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, ისე სოფლის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და ჯამში, 4 მილიონამდე ლარი დაიხარჯა.

დასრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან ზვიად ქურდაძესთან ერთად გაეცნო.

ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე და ქიმერიძეების უბანში სავარჯიშო მოედნები მოეწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა მისამართზე სავარჯიშო მოედნების მოწყობას აგრძელებს.

ამ ეტაპზე, გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორები, ხაშურში, კიდევ ორ ლოკაციაზე: თამარ მეფის ქუჩასა და ქიმერიძეების უბანში დამონტაჟდა.

„სპორტული სივრცეების მოწყობა ყოველთვის აქტუალურია, შესაბამისად, ფიტნესზონებისა და სპორტული სივრცეების მოწყობა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით აქტიურად მიმდინარეობს. ბოლო წლების განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, არაერთი მინი სტადიონი მოეწყო, აშენდა სპორტული

კომპლექსი, მიმდინარეობს და სულ მალე დასრულდება, ცენტრალური–„ივერიის“ სტადიონის მშენებლობა, რაც ყველა ხაშურელისთვის სასიხარულოა. მსგავსი პროექტების განხორციელება და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სპორტში, მოსახლეობის მასობრივ ჩართულობას უწყობს ხელს.“–აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლმა–ზვიად ქურდაძემ.

ხაშურში, თამარ მეფის ქუჩასა და ქიმერიძეების უბანში მოწყობილი სპორტული სივრცეები, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ღირებულებამ 51 318 ლარი შეადგინა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.